ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №122697

ნომერი: AR133325

თარიღი : 10.04.2012

გაცემის თარიღი : 17.04.2012

გაცნობის თარიღი : 14.05.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქუჩიშვილი , N 18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ქანთარია პ/ნ 61001010638
- თბილისი დ. წყნეთი ტაბიძის ქ. N 11

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- მიშენება ან მიშენება - დაშენება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 12.08.2002
- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1361

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავით გვასალია
- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მიხეილ ქანთარია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 61001010638

.სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის (არსებული) ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 6.69
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 35.45
- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 786.0
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.3
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 6596.92
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 596.2
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 21105.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.73

.პროექტირების შედეგად მიღებული ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 6796.9
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.73
- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 786.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 596.2
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 6.9
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.3
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 38.95

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ არასწორად მოხდა განაცხადის დარეგისტრირება. განაცხადის დარეგისტრირებისას არჩეული უნდა იქნას მოთხოვნის შესაბამისი ნომენკლატურა (კორექტირებული პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვა).
ამასთან, საკითხის შესწავლისას სამსახურის მიერ თქვენს მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლენილი იქნა ხარვეზები, კერძოდ:
1. წარმოდგენილი უნდა იქნას განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
ამასთან დამკვეთებად მითითებული უნდა იქნას ფართის მესაკუთრეები ან მათი მინდობილი პირი
2. არ არის წარმოდგენილი გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი
3. არ არის წარმოდგენილი შენობა–ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad-ის ან ArchiCad-ის სახით
4. შესაბამის ველში მითითებული უნდა იქნას განკარგულების რეკვიზიტები
5. შესაბამის ველში მითითებული უნდა იქნას შეთანხმებული პროექტისა და მშენებლობის ნებარვის ბრძანების რეკვიზიტები
6. წარმოდგენილი უნდა იქნას ორივე მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და შესაბამისი თანხმობები
7. მითითებული უნდა იქნას საერთო ფართში შემავალი ფართები და შესაბამისად, გრაფაში ,,პროექტირების შედეგად მიღებული ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით) – საერთო ფართობი (კვ.მ)''– მითითებული რიცხვი უნდა შეესაბამებოდეს საერთო ფართში შემავალი ფართების ჯამს.
8. გრაფაში ,,კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში)'' მითითებული უნდა იქნას საანგარიშო ფართი კვადრატულ მეტრებში და ასახული კოეფიციენტში .
ამასთან, კოეფიციენტის მომატებასთან დაკავშირებით საკითხი განხილული უნდა იქნას ზონალურ კომისიაზე და წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი განკარგულება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კ2 კოეფიციენტის შესყიდვის

გრაფიკი
9. წარმოდგენილი უნდა იქნას განახლებული საკადასტრო გეგმები (2012 წლის მდგომარეობით)
10. დაცული უნდა იქნას სამეზობლო მიჯნის ზონა, ან წარმოდგენილი უნდა იქნას მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა
11. წარმოდგენილი უნდა იქნას სრულყოფილი ნახაზები (ჭრილი 2-2 ზე ა და გ ღერძებს შორის არ არის ნაჩვენები ღიობები რომელიც ნაჩვენებია გეგმებზე)
12. გრაფაში ,,სარეკონსტრუქციო ობიექტის არსებული და საპროექტო გეგმების pdf ფაილი''– წარმოდგენილი ნახაზები ატვირთულია უკუღმა
13. სამშენებლო პასპორტი, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანებები გაცემულია მრავალფუნქციურ შენობაზე, ასევე განსახილველად წარმოდგენილია მრავალფუნქციური შენობის პროექტი, შესაბამისად გრაფაში ,,სატიტულო ინფორმაცია – ფუნქციური დანიშნულების სახეობა''– მითითებული უნდა იქნას მრავალფუნქციური შენობა
14. გრაფაში ,,შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ)'' მითითებული უდნა იქნას 0.00 ნიშნულს ზევით და ქვევით არსებული სიმაღლეების ჯამი
15. გრაფაში ,,კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში) – მითითებული უნდა იქნას მოშენების ფართი კვადრატულ მეტრებსა და ასახული კოეფიციენტში
16. სამსახურის გადაწყვეტილებით გადახურვის მასალად გამოყენებული უნდა იქნას თუნუქი
17. წარმოდგენილი უნდა იქნას კორექტირებული პროექტის ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება განაცხადის სწორად დარეგისტრირებისა და ხარვეზების გამოსწორების შემდეგ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.